4 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის, ფილოსოფიის ინსტიტუტის, აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ერთობლივი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი აზერბაიჯანელი მწერლის, ფილოსოფოსის და საზოგადო მოღვაწის მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადებიდან 170 წლისთავისადმი. სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გ. ჯიბლაძემ. მოსმენილ იქნა მოხსენებები: პროფ. კ. ფაღავასი — „მირზა ფათალი ახუნდოვის ცხოვრება და შემოქმედება“; პროფ. ნ. შალუტაშვილისა — „ახუნდოვი და ქართული თეატრი“; ფილოლ. მეცნ. კანდ. ლ. ერაძისა — „ქართული პრესა ახუნდოვის შესახებ“; დოც. ვ. ჯანგიძისა — „ახუნდოვის ენა“; ს. ლეკიშვილისა — „ახალი საარქივო მასალები ახუნდოვის შესახებ“; ფილოსოფ. მეცნ. დოქტ. ვ. გოგობერიშვილისა — „ახუნდოვის ფილოსოფიური შეხედულებანი“.

4 октября состоялась совместная научная сессия Музея дружбы народов, Института истории грузинской литературы им. Руставели, Института философии, Института востоковедения им. акад. Г. В. Церетели АН ГССР и факультета востоковедения Тбилисского государственного университета, посвященная 170-летию со дня рождения великого азербайджанского писателя, философа и общественного деятеля Мирзы Фатали Ахундова. Сессию вступительным словом открыл вице-президент АН ГССР, академик АН ГССР Г. Н. Джибладзе. Были заслушаны доклады: проф. К. Пагава «Жизнь и творчество Мирза Фатали Ахундова»; проф. Н. И. Шалуташвили — «Ахундов и грузинский театр»; канд. филол. наук Л. У. Эрадзе — «Грузинская пресса об Ахундове»; доц. В. Т. Джангидзе — «Язык Ахундова»; С. С. Лекишвили — «Новые архивные материалы об Ахундове»; докт. филос. наук В. Г. Гогоберишвили — «Философские воззрения Ахундова».

11—17 ოქტომბერს ქ. ბორჯომში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტმა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დედაამიწის ფიზიკის ინსტიტუტთან, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული სეისმოლოგიისა და სეისმომედეგი მშენებლობის უწყებათაშორის საბჭოსთან და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკატექნიკის ინსტიტუტთან ერთად ჩატარა საკავშირო სკოლა-სემინარი, რომელიც მიემდვნა საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

სკოლა-სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის იმ სამეცნიერო ორგანიზაციების 115 წარმომადგენელმა, რომლებიც მუშაობენ მიწისძვრის პროგნოზისა და ქანების ფიზიკის პრობლემებზე.  
მუშაობდა 5 სექცია.

11—17 октября в г. Боржоме Институтом геофизики АН ГССР совместно с Институтом физики Земли АН СССР, Межведомственным советом по сейсмологии и сейсмостойкому строительству при Президиуме АН СССР и Физико-техническим институтом АН СССР была проведена Всесоюзная школа-семинар «Физические основы прогнозирования разрушения горных пород», посвященная 60-летию образования СССР.

В работе школы-семинара приняли участие 115 ученых из различных научных организаций страны, занимающиеся вопросами прогноза землетрясений и физикой горных пород.

Работали 5 секций.

19—20 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს საბჭოთა მწერლების საიუბილეო სხდომა და სამეცნიერო სესია, რომლებიც მიიქმნა ათონის ქართული სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის დაარსების 1000 წლისთავს. საიუბილეო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გ. ჯიბლაძემ. მოსმენილ იქნა მოხსენებები: ე. მეტრეველისა — „ათონის როლი ქართული კულტურის ისტორიაში“, ე. ხინთიბიძისა — „ათონელთა შემოქმედებითი პრინციპები“; ა. ალექსიძისა — „ათონი—ისტორიული, ლეგენდარული, რეალური“. შემდეგ ნაჩვენები იქნა კინოფილმი ათონზე. იმავე დღეს გაიმართა საიუბილეო სამეცნიერო სესია. მოსმინეს მოხსენებები: მ. ლორთქიფანიძისა — „ათონელთა „ცხოვრებანი“ როგორც საისტორიო წყარო“; მ. შანიძისა — „ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების თარგმნილი ბიბლიური წყაროები“; ბ. ფონკიჩისა — „ექვთიმე ივერიელი XVIII ს. ბერძნულ აგიოგრაფიაში“; ლ. ვესევეასი — „ქართველი და ბერძენი მხატვრები ივირონში 1500 წლის ახლო ხანებში“; მ. ფრაიდენბერგისა — „დაღმაცის ქალაქთა მონასტრები X—XIV საუკუნეებში“.

20 ოქტომბრის დღის სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს უცხოელმა ქართველოლოგებმა, კერძოდ, ბ. მარტენ პიზარმა, ჟ. ლეფორმა (საფრანგეთი), ჯ.-ნ. ბერძოლმა კ. ვივიანმა (ინგლისი), ვ. ბოედერმა, კ.-პ. შმიდტმა (გერმ.), მ. ვან-ესბროკმა (ბელგია). შემდეგ ა. მიქაბერიძემ სესიის მონაწილეებს გააცნო — ათონის მთის ქართული რელიქვიების დღევანდელი ვითარება, უჩვენა რა ამასთან დიაპოზიტელები.

სალამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: რ. სირაძისა — „ივირონი და პეტრიწონი“; ლ. მენაბდესი — „ათონის ისტორიისათვის“; ა. სალტიკოვისა — „მაცხოვრის ხატი ა. რუბლიოვის სახელობის მუზეუმის ფონდიდან“; ვ. პუცკოსი — „ივირონის ბიზანტიური ძეგლები სელანაწელები მოსკოვში“; ი. ლებედევასი — „ივირონის როლი სლავურ-ბერძნულ კულტურულ ურთიერთობებში“.

19—20 октября состоялись юбилейное заседание и научная сессия Академии наук Грузинской ССР, Тбилисского государственного

университета и Союза советских писателей Грузии, посвященные 1000-летию грузинского научно-просветительного центра на Афоне. Юбилейное заседание вступительным словом открыл вице-президент АН Грузинской ССР Г. Н. Джибладзе. Были заслушаны доклады: Е. П. Метревели — «Роль Афона в истории грузинской культуры», Э. Г. Хинтибидзе — «Творческие принципы грузинских афонцев», А. Д. Алексидзе — «Афон — исторический, легендарный, реальный». Был показан кинофильм об Афоне. Вечером того же дня состоялась юбилейная сессия. Были заслушаны следующие доклады: М. Д. Лордкипанидзе — «Житий» Афонцев как исторический источник», М. А. Шанидзе — «Библиейские источники, переведенные Евфимием и Георгием Святогорцами», Б. Л. Фонкич — «Евфимий Ивир в греческой агиографии XVIII столетия», Л. Н. Евсеева — «Грузинские и греческие мастера в Ивиране около 1500 г.», М. М. Фрейденберг — «Монастыри в далматийских городах X—XIV вв.».

20 октября были заслушаны доклады иностранных грузиноведов. В частности: Б. Мартен-Изар, Ж. Лефор (Франция), Дж.-Н. Бердзол, К. Вивиан (Англия), В. Боедер, К. Х. Шмидт (ФРГ), М. Ван-Эсбрк (Бельгия).

Затем А. Микаберидзе ознакомил участников сессии с сегодняшним состоянием грузинских реликвий Афонской горы и показал также диапозитивы. На вечернем заседании сессии были заслушаны доклады: Р. Г. Сирадзе — «Ивирон и Петрици», Л. В. Менабде — «К истории Афона», А. А. Салтиков — «Икона «Спас поясной» из собрания Музея им. А. Рублева», В. Г. Пуцко — «Византийские иллюминированные рукописи из Ивирана в Москве», И. Н. Лебедева — «Роль Ивирана в славяно-греческих культурных взаимоотношениях».

21 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრების თეიმურაზ ბაგრატიონის დაბადების 200 და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის მარი ბროსეს დაბადების 180 წლისთავისადმი. სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა შ. ძიძიგურმა. მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: პროფ. შ. ხანთაძისა — „ბეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის სათავეებთან — თეიმურაზ ბაგრატიონისა და მარი ბროსეს თანამშრომლობა“; აკად. ალ. ბარამიძისა — „მარი ბროსე და ქართული მწერლობა“; პროფ. გ. შარაძისა — „თეიმურაზ ბაგრატიონის მეცნიერული მემკვიდრეობა“; ისტ. მეცნ. დოქტ. ა. ბარამიძისა — „მარი ბროსე და ქართული ისტორიოგრაფია“; ისტ. მეცნ. კანდ. ა. აბლაძისა — „მარი ბროსე და არმენოლოგია“.

21 октября состоялась научная сессия Академии наук Грузинской ССР, Тбилисского государственного университета и Союза советских писателей Грузии, посвященная 200-летию со дня рождения почетного члена Российской Академии наук Теймураза Багратиони и 180-летию со дня рождения действительного члена Российской Академии наук Мари Броссе. Сессию вступительным словом открыл академик-секретарь Отделения языка и литературы АН ГССР Ш. В. Дзидзигу-

რი. Были заслушаны следующие доклады: проф. Ш. А. Хантадзе — «У истоков петербургской грузиноведческой школы — сотрудничество Теймураза Багратиони и Мари Броссе», акад. АН ГССР А. Г. Барамидзе — «Мари Броссе и грузинская литература», проф. Г. С. Шарадзе — «Научное наследие Теймураза Багратиони», докт. ист. наук А. А. Барамидзе — «Мари Броссе и грузинская историография», канд. ист. наук А. П. Абдаладзе — «Мари Броссе и арменология».

20—26 ოქტომბერს ქ. სოხუმში ჩატარდა საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო სიმპოზიუმი თემაზე: „ბუნებრივი ცვლილებების გამოყენება სოფლის მეურნეობაში“, რომელიც ორგანიზებული იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღსორბციის სამეცნიერო საბჭოს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მიერ.

20—26 октября в Сухуми состоялся симпозиум «Применение природных цеолитов в сельском хозяйстве», посвященный 60-летию образования СССР, организованный Научным советом по адсорбции АН СССР, Институтом физической и органической химии им. П. Г. Меликишвили АН ГССР, Грузинским институтом субтропического хозяйства МСХ СССР.

ოქტომბერში საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ნათიშვილის სახ. ინსტიტუტისა და კიევის ანატომია, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების ინიციატივით ქ. თბილისში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიძღვნა გულის სისხლ-ძარღვებისა და ნერვების ფუნქციურ მორფოლოგიას. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 15 მოხსენება, რომლებიც მიძღვნა გულის სისხლის და ლიმფური ძარღვების, აგრეთვე ნერვების ფუნქციურ მორფოლოგიას სხვადასხვა ექსპერიმენტის პირობებში და შედარებითანატომიურ გამოკვლევებს. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ მოხსენებათა უმრავლესობაში გამოყენებული იყო კვლევის უახლესი მეთოდები, ხოლო განხილული საკითხები მჭიდროდ იყო დაკავშირებული პრაქტიკულ მედიცინასთან.

В октябре по инициативе Института экспериментальной морфологии им. А. Н. Натишвили АН ГССР и Киевского научного общества анатомов, гистологов и эмбриологов в г. Тбилиси проводилась научная конференция, посвященная функциональной морфологии сосудов и нервов сердца.

На конференции было представлено 15 докладов, посвященных функциональной морфологии кровеносных и лимфатических сосудов, а также нервов сердца при разных экспериментальных условиях и сравнительно-анатомическим исследованиям. Особое внимание привлекло то обстоятельство, что в большинстве докладов были использованы новейшие методы исследования, а рассмотренные вопросы были тесно связаны с практической медициной.





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ირაკლი სოლომონის ძე მიქელაძეს 80 წელი შეუსრულდა.

Исполнилось 80 лет академику АН Грузинской ССР Ираклию Соломоновичу Микеладзе.

ირაკლი სოლომონის ძე მიქელაძე დაიბადა 1902 წელს, ცნობილი იურისტის სოლომონ მიქელაძის ოჯახში. 1921 წელს დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია, ხოლო 1926 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა უშუალოდ დაუკავშირა სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობისა და მისი პრობლემების მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუძველზე შესწავლა-განზოგადების საქმეს. 1926—1929 წწ. ირ. მიქელაძე მუშაობდა ამიერკავკასიის საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში, საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში.

1929 წლიდან, 48 წლის განმავლობაში ირ. მიქელაძე მუშაობდა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ჯერ სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ხოლო 1954—1977 წწ. — საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე. ამ პერიოდის მანძილზე იგი აქტიურად მონაწილეობდა ხუთწლიანი გეგმების შემუშავება-დამტკიცებაში, მთელი რიგი სამრეწველო ობიექტების (მეტალურგიული, საავტომობილო, აზოტოვანი სასუქების და სხვა ქარხნების) დაპროექტებაში, ეკონომიკურ დასაბუთებასა და შექმნაში, რითაც მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს ინდუსტრიისა და საერთოდ მთელი მისი ეკონომიკის განვითარებაში.

ირ. მიქელაძემ 1940 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1960 წ. სადოქტორო დისერტაცია. 1961 წ. მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1969 წ. აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

აკად. ირ. მიქელაძის კალამს ეკუთვნის მრავალი ფუნდამენტური ნაშრომი და მეცნიერული გამოკვლევა, რომლებიც ამდღარებენ ქართულ და საერთოდ საბჭოურ ეკონომიკურ მეცნიერებას.

აკად. ი. მიქელაძის მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი მონოგრაფიული გამოკვლევები, როგორიცაა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სპეციალიზაცია და კომპლექსური განვითარება“

(რუსულ ენაზე გამოიცა 1959 წ. თბილისში და 1964 წ. მოსკოვში), „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპები და პროპორციები“ (1966 წ.), „საქართველოს სსრ სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის საკითხები“ (1972 წ.), „ტერიტორიული დაგეგმვის პრობლემები“ (1980 წ.) და სხვ.

ირ. მიქელაძისა და თანაავტორების მონოგრაფიას „საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა“ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

აკად. ირ. მიქელაძის საქმიანობაში დიდი ადგილი უკავია მის პედაგოგიურ მოღვაწეობას (1930 წ.) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ის წლების განმავლობაში იყო კათედრის დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, ხოლო 1937 წლიდან 1962 წლამდე — ფაკულტეტის დეკანი. ახალგაზრდა ეკონომისტ-სპეციალისტთა მომზადების საქმეში დიდი როლი შეასრულა მის მიერ ქართულ ენაზე გამოცემულმა ეკონომიკური მეცნიერების პირველმა ორიგინალურმა სახელმძღვანელომ „სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკა“ (1946 წ.).

დიდა ირ. მიქელაძის ღვაწლი მეცნიერ-ეკონომისტთა კადრების აღზრდაში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ათობით მეცნიერებათა კანდიდატი, და დოქტორი.

ირ. მიქელაძის ღვაწლი ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ახალგაზრდა კადრების აღზრდაში ღირსეულად შეაფასა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

Ираклий Соломонович Микеладзе родился в 1902 г. в семье юриста. В 1921 г. окончил грузинскую гимназию в г. Тбилиси, а в 1926 г. — социально-экономический факультет Тбилисского государственного университета.

Свою многогранную научную и общественную деятельность И. С. Микеладзе основывал на глубоком изучении марксизма-ленинизма и на базе этого учения анализировал экономические проблемы строительства социалистической экономики Грузии.

С 1926 по 1929 г. И. С. Микеладзе работал в Закавказском Наркомате внутренней торговли, Закнаркомфине, Центральном статистическом управлении Грузии. С 1929 по 1977 г., т. е. в течение 48 лет, И. С. Микеладзе работал в Госплане Грузинской ССР на разных должностях, начиная с рядового экономиста до заместителя председателя Госплана.

Он был активным участником составления и утверждения пятилетних планов. Принимал деятельное участие также в экономическом обосновании ряда крупных промышленных индустриальных объектов.

Особенностью деятельности И. С. Микеладзе является успешное сочетание практической работы в Госплане Грузии с научной работой в Тбилисском университете, где он занимал должности доцента, профессора, заведующего кафедрой с 1937 по 1962 г., декана факультета.

В 1940 г. И. С. Микеладзе защитил кандидатскую диссертацию, в 1960 г. — докторскую. В 1961 г. ему было присвоено звание заслуженного деятеля науки Грузинской ССР, а в 1969 г. он был избран действительным членом Академии наук Грузинской ССР.

Его перу принадлежит ряд фундаментальных исследований в области теории и практики развития народного хозяйства Грузинской ССР. Особо следует отметить работы: «Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР» (изданную на русском языке в 1959 г. в Тбилиси и в 1964 г. в Москве), «Темпы и пропорции развития народного хозяйства Грузии» (1966 г.), «Проблемы территориального планирования» (1980 г.).

За монографию «Экономика Советской Грузии» И. С. Микеладзе совместно с другими авторами была присуждена Государственная премия Грузинской ССР.

И. С. Микеладзе — автор первого учебника экономической науки на грузинском языке «Экономика социалистической промышленности» (1946 г.). Учебник сыграл важную роль в деле подготовки молодых грузинских ученых экономистов.

Трудно переоценить роль И. С. Микеладзе в деле воспитания молодых специалистов экономистов.

Под руководством И. С. Микеладзе выполнены многочисленные докторские и кандидатские диссертации.

Заслуги И. С. Микеладзе в деле воспитания молодых кадров, в развитии экономической науки, а также в области планирования народного хозяйства республики получили высокую оценку Партии и Правительства. Он награжден двумя орденами «Знак Почета», орденом Трудового Красного Знамени и медалями.







საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ავთანდილ ლევანის ძე გუნიას 70 წელი შეუსრულდა.

Исполнилось 70 лет академику АН Грузинской ССР Автандилу Левановичу Гуния.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ავთანდილ ლევანის ძე გუნია საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასთან ჩვენს რესპუბლიკაში, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვასთან.

ა. გუნია დაიბადა 1912 წ. ქ. თბილისში. 1939 წ. დაამთავრა მოსკოვის გ. პლხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი. 1940 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა. იგი იყო საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელი და უმაღლესი პარტიული სკოლის პოლიტიკური ეკონომიის უფროსი მასწავლებელი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი და სექტორის გამგის მოადგილე. 1953 წლიდან იგი მუშაობს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ, ხოლო 1953—1958 წწ. — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად. 1958 წლიდან ა. გუნია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტშია, სადაც მუშაობს ჯერ პოლიტიკური ეკონომიის და მრეწველობის ეკონომიკის განყოფილების გამგედ, შემდეგ კი დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1976 წლიდან დღემდე ინსტიტუტის დირექტორია. ამავე დროს 1967 წლიდან იგი იყო საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, შემდეგ კი ამ კათედრის პროფესორი. 1967 წლიდან იგი არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე.

აკადემიკოს ა. გუნიას სამეცნიერო ინტერესები მოიცავენ სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის, რეგიონალური ეკონომიკის, მრეწველობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკის აქტუალური პრობლემების ფართო წრეს. მისმა გამოკვლევებმა სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების თეორიაში სპეციალისტთა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. დიდ ყურადღებას უთმობს მეცნიერი აგრეთვე სოციალიზმისა და კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექ-

ქტიანობის ამალგების, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის გარღვევების კონკრეტული გზების კვლევას.

ა. გუნიას უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა ეკონომიკური პროფილის მრავალი მეცნიერული მუშაკი, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ ჩვენს რესპუბლიკაში.

იგი არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე მოწვევის დეპუტატად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად. 1968 წლიდან დღემდე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის წევრია.

Академик Академии наук Грузинской ССР Автандил Леванович Гуния — видный представитель советской экономической науки. Он автор свыше 100 научных работ. Его деятельность тесно связана с развитием экономической науки в нашей республике, с разработкой и внедрением в практику научно обоснованных рекомендаций по совершенствованию управления народным хозяйством и повышению эффективности общественного производства.

А. Л. Гуния родился в 1912 г. в Тбилиси. В 1939 г. окончил Московский институт народного хозяйства им. Г. В. Плеханова. С 1940 г. находился на партийной работе. Он был слушателем Высшей партийной школы при ЦК ВКП(б) и старшим преподавателем политической экономии Высшей партийной школы при ЦК КПСС, инструктором, а затем заместителем заведующего сектора отдела пропаганды и агитации ЦК КПСС. В 1953 г. он работал заведующим Отделом пропаганды и агитации ЦК КП Грузии, а с сентября 1953 г. до 1958 г. — министром культуры ГССР. С 1958 г. А. Л. Гуния в институте экономики и права АН ГССР, где работал заведующим отделом политической экономии и экономики промышленности, затем заместителем директора по научной работе, а с 1976 г. директором института. Одновременно с 1967 г. он был заведующим кафедрой экономики и организации производства Грузинского политехнического института им. В. И. Ленина, а затем профессором этой кафедры. С 1967 г. он — заместитель академика-секретаря Отделения общественных наук АН ГССР.

Научные интересы академика А. Л. Гуния охватывают широкий круг актуальных проблем политической экономии социализма, региональной экономики, экономики промышленности и научно-технического прогресса. Его исследования по теории социалистического расширенного воспроизводства получили всеобщее признание специалистов. Большое внимание уделяет ученый также исследованию конкретных путей строительства материально-технической базы социализма и коммунизма, повышения эффективности общественного производства, углубления интеграции науки и производства.

Он является автором более 100 научных работ.

Под руководством А. Л. Гуния воспитаны многие научные работники экономического профиля, успешно работающие ныне в республике.

А. Л. Гуния был избран депутатом Верховного Совета ГССР четвертого созыва, членом ЦК КП Грузии и его бюро. С 1968 г. является членом Тбилисского комитета КП Грузии.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **ლეონიდ დავითის ძე მელიქაძეს** 70 წელი შეუსრულდა.

Исполнилось 70 лет академику АН Грузинской ССР **Леониду Давидовичу Меликадзе**.



ლ. მელიქაძე ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც საქართველოში სისტემატური კვლევები წამოიწყო ნავთობის ქიმიისა და ტექნოლოგიის დარგში.

1934 წ. ამერიკაკვასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობს ჯერ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, შემდეგ მსუბუქი მრეწველობის სამეცნიერო ინსტიტუტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1936 წ. ლ. მელიქაძე მუშაობას იწყებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ქიმიის ინსტიტუტში (ამჟამად საქ. მეცნ. აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი). 1942 წ. ლ. მელიქაძე იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1964 წ. სადოქტორო დისერტაციას.

1947 წლიდან 1977 წლამდე ლ. მელიქაძე მუშაობს პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში.

1977 წელს იგი სათავეში ჩაუდგა აღნიშნული ინსტიტუტის ნავთობის ქიმიის ლაბორატორიას, სწორედ ამ ინსტიტუტში მიმდინარეობს ლ. მელიქაძის მეტად ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საქართველოს ნავთობების კვლევისა და მიღებული შედეგების პრაქტიკაში ხორცშესხმის მიმართულებით, რასაც იგი დღემდე აწვითარებს და მთელ თავის ყურადღებას უთმობს ნავთობის ქიმიური ბუნებისა და მის ურთულესი, ნაკლებად გამოკვლეული მაღალ-მოლეკულური ნაწილის შესწავლას.

გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ საქართველოს მცირედდებეტოვანი ნავთობების ათვისების პერსპექტივა არ ამართლებს მათგან ჩვეულებრივი ენერგეტიკული დანიშნულების მრავალტირაჟიანი პროდუქტების წარმოებას, ლ. მელიქაძემ წამოჭრა საკითხი ნავთობების შერჩევითი ათვისების მიზანშეწონილობის შესახებ, მათგან სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მცირეტონაჟიანი, მაგრამ ძვირფასი პროდუქტების მიღების თვალსაზრისით. ლ. მელიქაძის მიერ შემუშავებულია ნავთობის კვლევისა და ათვისების მრავალი ორიგინალური გზა და ამის საფუძველზე მოწოდებულია ახალი, ეფექტური პროდუქტების წარმოების მეთოდები, რომლებმაც სახალხო მეურნეობაში ფართო გამოყენება პოვეს. მან პირველმა წამოიწყო ნავთობის ფოტოქიმიური ათვისების

კვლევა და დაადასტურა ამ გზით ნავთობის ქიმიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობა.

ლ. მელიქაძის კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო საქართველოს ნავთობების ქიმიურ პასპორტიზაციასა და მათი ათვისების პერსპექტივების შემუშავებას. 1967 წ. ლ. მელიქაძე არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წ. ნამდვილ წევრად. ლ. მელიქაძის შრომები გამოქვეყნებულია სამი მონოგრაფიისა და 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის სახით. ნავთობის ფლუორესცირებადი ნერთების ბუნების შესწავლისა და მათი გამოყენების გეზის შემუშავებისათვის მას 1959 წ. მიენიჭა პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია.

ლ. მელიქაძე ავტორია 30-მდე გამოგონებისა, რომელთაგან 11 დანერგულია სახალხო მეურნეობაში და საბჭოთა კავშირის 100-ზე მეტ სამრეწველო ორგანიზაციებშია გამოყენებული.

მისი ხელშეწყობით დაცულია 20-მდე საკანდიდატო დისერტაცია.

ლ. მელიქაძის დამსახურება სამშობლოს წინაშე აღნიშნულია მთავრობის ჯილდოებით. ის დაჯილდოებულია ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

სამეცნიერო და აღმზრდელი მოღვაწეობასთან ერთად ლ. მელიქაძე დიდ დროსა და ენერჯიას ანდომებს სამეცნიერო-ორგანიზაციულ და საზოგადოებრივ მუშაობასაც.

Л. Д. Меликадзе одним из первых начал заниматься систематическими исследованиями в области химии и технологии грузинских нефтей.

В 1934 г. после окончания химико-технологического факультета Закавказского индустриального института он работает на Батумском нефтеперерабатывающем заводе, затем в Научном институте легкой промышленности и в Тбилиском государственном университете. В 1936 г. Л. Д. Меликадзе переходит на работу в Институт химии грузинского филиала АН СССР (ныне Институт физической и органической химии им. П. Г. Меликишвили АН ГССР). В 1942 г. защищает кандидатскую, а в 1964 г. — докторскую диссертацию.

С 1947 по 1977 г. Л. Д. Меликадзе работает заместителем директора по научной части Института физической и органической химии им. П. Г. Меликишвили АН ГССР.

В 1977 г. он возглавляет лабораторию химии нефти того же института.

Именно в этом институте проводит Л. Д. Меликадзе свою плодотворную научно-исследовательскую работу в направлении изучения нефтей Грузии и внедрения полученных результатов в народное хозяйство.

Принимая во внимание то положение, что перспектива освоения малододебетных грузинских нефтей не оправдывает переработку их на обычные, имеющие энергетическое назначение многотоннажные продукты, Л. Д. Меликадзе выдвигает вопрос о целесообразности селективного освоения нефтей нашей республики с точки зрения получения из них малотоннажных, но ценных продуктов. В этом направлении им разработан целый ряд оригинальных путей исследования и предложены методы производства новых, эффективных продуктов, нашедших широкое применение в народном хозяйстве.

Л. Д. Меликадзе впервые занялся изучением фотохимических свойств нефтей и доказал возможность решения этим путем важных вопросов химии нефти.

Результаты исследований Л. Д. Меликадзе легли в основу химической паспортизации грузинских нефтей и разработки перспектив их освоения. В 1967 г. А. Д. Меликадзе избирается чл.-корр. АН ГССР, а в 1974 г. — ее действительным членом.

Труды Л. Д. Меликадзе опубликованы в виде трех монографий и свыше 200 научных статей.

За исследование природы флуоресцирующих соединений нефти и разработку путей их использования в 1959 г. он был удостоен премии им. П. Г. Меликишвили.

Л. Д. Меликадзе является автором около 30 изобретений. Из них 11 внедрены в народное хозяйство и успешно используются в более чем 100 производственных организациях Советского Союза.

Под его руководством защищено около 20 кандидатских диссертаций.

Заслуги Л. Д. Меликадзе перед Родиной отмечены правительственными наградами — двумя орденами «Знак Почета» и медалями.

Наряду с научной и педагогической деятельностью Л. Д. Меликадзе много времени и энергии отдает научно-организационной и общественной работе.



საერთაშორისო სამეცნიერო კავშირები  
 МЕЖДУНАРОДНЫЕ НАУЧНЫЕ СВЯЗИ
 

---

21—23 სექტემბერს ქ. თბილისში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახ. სამთო მექანიკის ინსტიტუტში ჩატარდა საერთაშორისო თათბირ-სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ აფეთქების ენერგიის მართვის ლაბორატორიის თანამშრომლები და სამი ამერიკელი მეცნიერი — მყარი ტანის ფიზიკის, ფიზიკური ქიმიის და ელექტრონიკის სპეციალისტები ვაშინგტონის მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორიებიდან, თათბირ-სემინარის მონაწილენი გაეცნენ აფეთქების ენერგიის მართვის ლაბორატორიის მუშაობის თემატიკას. მოხდა აზრთა გაზიარება ექსპერიმენტული ფიზიკის თანამედროვე პრობლემების შესახებ.

21—23 сентября в г. Тбилиси в Институте горной механики им. Г. А. Цулукидзе был проведен международный семинар, в котором участвовали сотрудники Лаборатории управления энергией взрыва и трое американских ученых — специалистов по физике твердого тела, физической химии и электронике из Лаборатории высоких энергий г. Вашингтона.

Участники семинара ознакомились с тематикой Лаборатории управления энергией взрыва и обменялись мнениями по вопросам современной экспериментальной физики.

28 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე რუსიპირში (თელავის რაიონი) ჩატარდა სოციალისტური ქვეყნების აკადემიების კომპლექსური პრობლემის „პლანეტარული გეოფიზიკური კვლევები“ შემსწავლელი კომისიის № 9 პროექტის „გეოფიზიკური მონაცემების დამუშავებისა და ინტერპრეტაციის მათემატიკური მეთოდების განვითარება და განზოგადოება“ ქვეთემის „გეოფიზიკური ამოცანების ამოხსნების მათემატიკური უზრუნველყოფის განვითარება“ მუშა-ჯგუფის თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრკ, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და ბულგარეთის მეცნიერები.

თათბირზე განხილული იქნა გეოფიზიკური მონაცემების მათემატიკური დამუშავების საკითხები, აგრეთვე მოისმინეს მიმოხილვითი მოხსენებები საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანებისათვის იმ პროგრამათა არსებობის შესახებ, რომელთა საშუალებით ხდებოდა ამა თუ იმ გეოფიზიკურ პრობლემათა რეალიზება. განხილული იყო მოქმედი-პროგრამების გაცვლისა და გეოფიზიკური ამოცანების გადაწყვეტის ზოგიერთი მეთოდური საკითხი.

С 28 сентября по 2 октября в Руиспири (Телавский район) было проведено рабочее совещание по подтеме «Развитие математического обеспечения решений геофизических данных» проекта № 9 «Развитие и обобщение математических методов обработки и интерпретации геофизических данных» координационного плана Комиссии академии наук социалистических стран по комплексной проблеме «Планетарные геофизические исследования».

В работе совещания принимали участие ученые из СССР, ЧССР, Румынии и Болгарии.

На рабочем совещании были рассмотрены вопросы, связанные с математической обработкой геофизических данных. Были заслушаны также обзорные доклады о наличии в Советском Союзе и других социалистических странах программ для ЭВМ, которые реализуют те или иные геофизические проблемы. Были рассмотрены вопросы обмена действующими программами и некоторые методологические вопросы решения геофизических задач.

4—8 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი „ეპილექსიის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების“ შესწავლის შესახებ, რომელიც ორგანიზებული იყო ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (იბრო), იბროს საბჭოთა ეროვნული კომიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის, საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიური საზოგადოების მიერ.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა და უცხოელი მეცნიერები. სიმპოზიუმზე მოსმინეს საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოს ვ. ოკუჯავას, სსრკ სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების ნ. ბეხტერევას, პ. სარაჯიშვილის, გ. კრიჟანოვსკის, აგრეთვე გ. გოდარდის (ახალი ზელანდია), ძ. მაცუმოტო (იაპონია), კ. მენინის (საფრანგეთი), პ. ლუქსის (გფრ), ტ. რადილის (ჩსსრ), მ. სენტეს (უნგრეთი), ფ. კლინგბერგის (გრდ) და სხვათა მოხსენებები.

С 4 по 8 октября в г. Тбилиси был проведен Международный симпозиум «Нейрофизиологические механизмы эпилепсии», организованный Международной организацией по изучению мозга (ИБРО), Советским национальным комитетом ИБРО, Тбилисским государственным университетом, Институтом физиологии им. И. С. Бериташвили АН ГССР, Институтом клинической и экспериментальной неврологии МЗ ГССР, Грузинским физиологическим обществом им. И. С. Бериташвили.

В работе симпозиума принимали участие советские и зарубежные ученые. Были заслушаны доклады акад. АН ГССР В. М. Окуджава, академиков АМН СССР Н. П. Бехтеревой, П. М. Сараджишвили, Г. Н. Крыжановского, а также Г. В. Годдарда (Новая Зеландия), Дз. Матсумото (Япония) К. Менини (Франция), Г. Д. Лукса (ФРГ), Т. Радила (ЧССР), М. Сенте (ВНР), Ф. Клингберга (ГДР) и др.

22 ოქტომბერს ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში მოეწყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან სილოვანის ასული მუჯირის დაბადების 75 და მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

22 октября в Институте фармакохимии им. И. Г. Кутателадзе состоялся юбилейный вечер, посвященный 75-летию со дня рождения и 50-летию научной деятельности заслуженного деятеля науки и выдающегося ученого, доктора фармацевтических наук, профессора Кетеваны Силовановны Муджири.





## ა ვ ტ ო რ თ ა ს ა კ უ რ ა დ ლ ე ბ ო ლ

1. ჟურნალ „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ ქვეყნდება აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა, აკადემიის სისტემაში მომუშავე და სხვა მეცნიერთა მოკლე წერილები, რომლებიც შეიცავს ახალ მნიშვნელოვან გამოკვლევათა ჯერ გამოუქვეყნებელ შედეგებს. წერილები ქვეყნდება მხოლოდ იმ სამეცნიერო დარგებიდან, რომელთა ნომენკლატურული სია დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

2. „მოამბეში“ არ შეიძლება გამოქვეყნდეს პოლემიკური წერილი, აგრეთვე მიმოხილვითი ან აღწერითი ხასიათის წერილი ცხოველთა, მცენარეთა ან სხვათა სისტემატიკაზე, თუ მასში მოცემული არაა მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საინტერესო შედეგები.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა წერილები უშუალოდ გადაეცემა გამოსაქვეყნებლად „მოამბის“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორთა წერილები ქვეყნდება აკადემიკოსთა ან წევრ-კორესპონდენტთა წარდგინებით, როგორც წესი, აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს „მოამბეში“ დასაბეჭდად წელიწადში შეუძლია წარმოსადგინოს სხვა ავტორთა არა უმეტეს 12 წერილისა (მხოლოდ თავისი საციალოების მიხედვით), ე. ი. თითოეულ ნომერში თითო წერილი. საკუთარი წერილი — რამდენიც სურს, ხოლო თანავტორებთან ერთად — არა უმეტეს სამი წერილისა. გამონაკლის შემთხვევაში როცა აკადემიკოსი ან წევრ-კორესპონდენტი მოითხოვს 12-ზე მეტი წერილის წარდგენას, საკითხს წყვეტს მთავარი რედაქტორი. წარდგინების ვაჩუქე შემოსულ წერილს „მოამბის“ რედაქცია წარმოსადგენად გადასცემს აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს. ერთსა და იმავე ავტორს (გარდა აკადემიკოსისა და წევრ-კორესპონდენტისა) წელიწადში შეუძლია „მოამბეში“ გამოაქვეყნოს არა უმეტეს სამი წერილისა (სულ ერთია, თანავტორებთან იქნება იგი, თუ ცალკე).

4. წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, დასაბეჭდად საესებით მზა სახით, ავტორის სურვილისამებრ ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს თან უნდა ახლდეს რუსული და მოკლე ინგლისური რეზიუმე, ხოლო რუსულ ტექსტს — ქართული და მოკლე ინგლისური რეზიუმე. წერილის მოცულობა ილუსტრაციებითურთ, რეზიუმეებითა და დამოწმებული ლიტერატურის ნუსხითურთ, რომელიც მას ბოლოში ერთვის, არ უნდა აღემატებოდეს ჟურნალის 4 გვერდს (8000 სასტამბო ნიშანი), ანუ საწერ მანქანაზე ორი ინტერვალთ გადაწერილ 6 სტანდარტულ გვერდს (ფორმულებიანი წერილი კი 5 გვერდს). არ შეიძლება წერილების ნაწილებად დაყოფა სხვადასხვა ნომერში გამოსაქვეყნებლად. ავტორისაგან რედაქცია დებულობს თავში მხოლოდ ერთ წერილს.

5. აკადემიკოსთა ან აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა წარდგინება რედაქციის სახელზე დაწერილი უნდა იყოს ცალკე ფურცელზე წარდგინების თარიღის აღნიშვნით. მასში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თუ რა არის ახალი წერილში, რა მეცნიერული ღირებულება აქვს მას და რამდენად უბასუხებს ამ წესების 1 მუხლის მოთხოვნას.

6. წერილი არ უნდა იყოს გადატვირთული შესავლით, მიმოხილვით, ცხრილებით, ილუსტრაციებითა და დამოწმებული ლიტერატურით. მასში მთავარი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი საკუთარი გამოკვლევის შედეგებს. თუ წერილში გზადგება, ქვეთავების მიხედვით გადმოცემულია დასკვნები, მაშინ საჭირო არაა მათი გამოორება წერილის ბოლოს.

7. წერილი ასე ფორმდება: თავში ზემოთ უნდა დაიწეროს ავტორის ინიციალები და გვარი, ქვემოთ — წერილის სათაური. ზემოთ მარჯვენა მხარეს, წარმოდგენამა უნდა წააწეროს, თუ მეცნიერების რომელ დარგს განეკუთვნება წერილი. წერილის ძირითადი ტექსტის ბოლოს, მარცხენა მხარეს, ავტორმა უნდა აღნიშნოს იმ დაწესებულების სრული სახელწოდება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია შრომა.

8. ილუსტრაციები და ნახაზები წარმოდგენილ უნდა იქნეს თითო ცალად კონვერტით. ამასთან, ნახაზები შესრულებული უნდა იყოს კალკაზე შავი ტუშით. წარწერები ნახაზებს უნდა გაუკეთდეს კალიგრაფიულად და ისეთი ზომისა, რომ შემცირების შემთხვევაშიც კარგად იკითხებოდეს. ილუსტრაციების ქვემო წარწერების ტექსტს წერილის ძირითადი ტექსტის ენაზე წარმოდგენილი უნდა იქნეს ცალკე ფურცელზე. არ შეიძლება ფოტოებისა და ნახაზების დაწებება დედნის გვერდებზე. ავტორმა დედნის კიდებე დაწვინა უნდა აღინიშნოს, რა ადგილას მოთავსდეს ესა თუ ის ილუსტრაცია. არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ისეთი ცხრილი, რომელიც ჟურნალის ერთ გვერდზე ვერ მოთავსდება. ფორმულები მელნით მკა-



ფიოდ უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტის ორივე ეგზემპლარში, ბერძნულ ასოებს ქვემოთ გან-  
 გან უნდა გაესვას თითო ხაზი წითელი ფანქრით, მთავრულ ასოებს—ქვემოთ ორჯერ ხაზ-  
 რა ხაზი შავი ფანქრით, ხოლო არამთავრულ ასოებს — ზემოთ ორ-ორი პატარა ხაზი  
 ფანქრით. ფანქრითვე უნდა შემოიფარგლოს ნახევარწრით ნიშნაკებიც (ინდექსები და ხარის-  
 ხის მაჩვენებლები). რეზიუმეები წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალ-ცალკე ფურცლებზე. წე-  
 რილში არ უნდა იყოს ჩასწორებები და ჩამატებები ფანქრით ან მელნით.

9. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დაიბეჭდოს ცალკე ფურცელზე. საჭიროა დაცულ  
 იქნეს ასეთი თანმიმდევრობა: ავტორის ინიციალები, გვარი. თუ დამოწმებულია საეურნალო  
 შრომა, ვუჩვენოთ ჟურნალის შემოკლებული სახელწოდება, ტომი, ნომერი, გამოცემის წელი.  
 თუ დამოწმებულია წიგნი, აუცილებელია ვუჩვენოთ მისი სრული სახელწოდება, გამოცემის  
 ადგილი და წელი. თუ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, ბოლოს შეუძლია გვერდების ნუმერა-  
 ციაც უჩვენოს. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს არა ანბანური წესით, არამედ  
 დამოწმების თანმიმდევრობით. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტსა თუ შენიშვნებში  
 კვადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენები უნდა იყოს შესაბამისი ნომერი დამოწმებული შრომისა.  
 არ შეიძლება დამოწმებული ლიტერატურის ნუსხაში შევიტანოთ ისეთი შრომა, რომელიც  
 ტექსტში მითითებული არ არის. ასევე არ შეიძლება გამოუქვეყნებელი შრომის დამოწმება.  
 დამოწმებული ლიტერატურის ბოლოს ავტორმა უნდა მოაწეროს ხელი, აღნიშნოს სად მუშა-  
 ობს და რა თანამდებობაზე, უჩვენოს თავისი ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

10. „მომბეში“ გამოქვეყნებული ყველა წერილის მოკლე შინაარსი იბეჭდება რეფერა-  
 ტულ ჟურნალში. ამიტომ ავტორმა წერილთან ერთად აუცილებლად უნდა წარმოადგინოს  
 მისი რეფერატი რუსულ ენაზე (ორ ცალად).

11. ავტორს წასაკითხად ეძლევა თავისი წერილის გვერდებად შეკრული კორექტურა მკაც-  
 რად განსაზღვრული ვადით (არაუმეტეს ორი დღისა). თუ დადგენილი ვადისათვის კორექ-  
 ტურა არ იქნა დაბრუნებული, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან  
 დაბეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

12. ავტორს უფასოდ ეძლევა თავისი წერილის 25 ამონაბეჭდი.

(დამტკიცებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 პრეზიდიუმის მიერ 10.10.1968; შეტანილია ცვლილებები 6.2.1969)

რედაქციის მისამართი: თბილისი 60, კუტუზოვის ქ. № 19; ტელ. 37-22-16, 37-93-42.

საფოსტო ინდექსი 380060

ხ ე ლ მ ო წ ე რ ი ს ბ ი რ ო ბ ე ბ ი: ერთი წლით 22 მან. 80 კაპ.

## К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ

1. В журнале «Сообщения АН ГССР» публикуются статьи академиков, членов-корреспондентов, научных работников системы Академии и других ученых, содержащие еще не опубликованные новые значительные результаты исследований. Печатаются статьи лишь из тех областей науки, номенклатурный список которых утвержден Президиумом АН ГССР.

2. В «Сообщениях» не могут публиковаться полемические статьи, а также статьи обзорного или описательного характера по систематике животных, растений и т. п., если в них не представлены особенно интересные научные результаты.

3. Статьи академиков и членов-корреспондентов АН ГССР принимаются непосредственно в редакции «Сообщений», статьи же других авторов представляются академиком или членом-корреспондентом АН ГССР. Как правило, академик или член-корреспондент может представить для опубликования в «Сообщениях» не более 12 статей разных авторов (только по своей специальности) в течение года, т. е. по одной статье в каждый номер, собственные статьи—без ограничения, а с соавторами—не более трех. В исключительных случаях, когда академик или член-корреспондент требует представления более 12 статей, вопрос решает главный редактор. Статьи, поступившие без представления, передаются редакцией академику или члену-корреспонденту для представления. Один и тот же автор (за исключением академиков и членов-корреспондентов) может опубликовать в «Сообщениях» не более трех статей (независимо от того, с соавторами она или нет) в течение года.

4. Статья должна быть представлена автором в двух экземплярах, в готовом для печати виде, на грузинском или на русском языке, по желанию автора. К ней должны быть приложены резюме—к грузинскому тексту на русском языке, а к русскому на грузинском, а также краткое резюме на английском языке. Объем статьи, включая иллюстрации, резюме и список цитированной литературы, приводимой в конце статьи, не должен превышать четырех страниц журнала (8000 типографских знаков), или шести стандартных страниц машинописного текста, отпечатанного через два интервала (статьи же с формулами—пяти страниц). Представление статьи по частям (для опубликования в разных номерах) не допускается. Редакция принимает от автора в месяц только одну статью.

5. Представление академика или члена-корреспондента на имя редакции должно быть написано на отдельном листе с указанием даты представления. В нем необходимо указать: новое, что содержится в статье, научную ценность результатов, насколько статья отвечает требованиям пункта 1 настоящего положения.

6. Статья не должна быть перегружена введением, обзором, таблицами, иллюстрациями и цитированной литературой. Основное место в ней должно быть отведено результатам собственных исследований. Если по ходу изложения в статье сформулированы выводы, не следует повторять их в конце статьи.

7. Статья оформляется следующим образом: сверху страницы в середине пишутся инициалы и фамилия автора, затем — название статьи; справа сверху представляющий статью указывает, к какой области науки относится она. В конце основного текста статьи с левой стороны автор указывает полное название и местонахождение учреждения, где выполнена данная работа.

8. Иллюстрации и чертежи должны быть представлены по одному экземпляру в конверте; чертежи должны быть выполнены черной тушью на кальке. Надписи на чертежах должны быть исполнены каллиграфически в таких размерах, чтобы даже в случае уменьшения они оставались отчетливыми. Подрисовочные подписи, сделанные на языке основного текста, должны быть представлены на отдельном листе. Не следует приклеивать фото и чертежи к листам оригинала. На полях оригинала автор отмечает карандашом, в каком месте должна быть помещена та или иная иллюстрация. Не должны представляться таблицы, которые не могут уместиться в журнале.



ститься на одной странице журнала. Формулы должны быть четко вписаны чернилами в оба экземпляра текста; под греческими буквами проводится одна черта карандашом, под прописными — две черты черным карандашом снизу, над строчными — также две черты черным карандашом сверху. Карандашом должны быть обведены полукругом индексы и показатели степени. Резюме представляются на отдельных листах. В статье не должно быть исправлений и дополнений карандашом или чернилами.

9. Список цитированной литературы должен быть отпечатан на отдельном листе в следующем порядке. Вначале пишутся инициалы, а затем — фамилия автора. Если цитирована журнальная работа, указываются сокращенное название журнала, том, номер, год издания, а если цитирована книга, — полное название книги, место и год издания. Если автор считает необходимым, он может в конце указать и соответствующие страницы. Список цитированной литературы приводится не по алфавиту, а в порядке цитирования в статье. При ссылке на литературу в тексте или в сносках номер цитируемой работы помещается в квадратные скобки. Не допускается вносить в список цитированной литературы работы, не упомянутые в тексте. Не допускается также цитирование неопубликованных работ. В конце статьи, после списка цитированной литературы, автор должен подписаться и указать место работы, занимаемую должность, точный домашний адрес и номер телефона.

10. Краткое содержание всех опубликованных в «Сообщениях» статей печатается в реферативных журналах. Поэтому автор обязан представить вместе со статьей ее реферат на русском языке (в двух экземплярах).

11. Автору направляется корректура статьи в сверстанном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку редакция вправе приостановить печатание статьи или печатать ее без визы автора.

12. Автору выдается бесплатно 25 оттисков статьи.

(Утверждено Президиумом Академии наук Грузинской ССР 10.10.1968; внесены изменения 6.2.1969)

Адрес редакции: Тбилиси 60, ул. Кутузова, 19, телефоны: 37-22-16, 37-93-42.

Почтовый индекс 380060

Условия подписки: на год — 12 руб.

